

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“
საქართველოს კანონზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს საგადასახადო კოდექსით რეგულირებადი გადასახადების ოდენობის ოპტიმიზაციის მიზნით ისეთი გადასახადი, როგორცაა სათამაშო ბიზნესის გადასახადი მიზანშეწონილია ამოღებულ იქნას კოდექსიდან და ჩამოყალიბდეს როგორც მოსაკრებლის ერთ-ერთი სახე. აღნიშნულის მიზანია გაიწმინდოს საგადასახადო კოდექსი მცირეფისკალური დატვირთვის გადასახადებისაგან. ამასთან, იმისათვის რათა გადამხდელს გაუადვილდეს მასზე დაკისრებული გადასახადების თაობაზე საკანონმდებლო დოკუმენტების მოძიება და ხელმძღვანელობა, მიზანშეწონილია საბაჟო გადასახადი, რომელიც რეგულირდება ცალკე „საბაჟო ტარიფის შესახებ“ საქართველოს კანონით, გადმოტანილი იქნეს საგადასახადო კოდექსში, როგორც გადასახადის ერთ-ერთი სახე, ამასთან იკვეცება სატარიფო ბადე (ძირითადად ოთხნიშნა კოდებზე შეკვეცის გზით) ისე რომ არცერთ საქონელზე გადასახადის ოდენობა არ იცვლება. შედეგად როგორც გადამხდელს ისევე საბაჟო მოხელეს გაუადვილდება ამ კანონით ხელმძღვანელობა. სწორედ აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ განაპირობა საგადასახადო კოდექსში სათანადო ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. კერძოდ, სათამაშო ბიზნესის გადასახადის თაობაზე შესაბამისი თავის ამოღება, საბაჟო გადასახადის თაობაზე კარის დამატება და მათგან გამომდინარე და მასთან დაკავშირებულ მუხლებში ცვლილებების შეტანა.

საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები განაპირობა აგრეთვე აღიარებულ დავალიანებაზე საგადასახადო ვალდებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტურობის ამაღლების საჭიროებამ. კერძოდ, იცვლება საინკასო დავალებისა და და ქონების იძულებითი რეალიზაციის წესი.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით დაბეგვრის ერთნაირ არეალში ხვდება როგორც ექსპორტირებული საქონელი ასევე საქონელი რომელიც მოქცეულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავების საბაჟო რეჟიმში.

საგადასახადო კოდექსით ქონების გადასახადის მიმართ დადგენილი გადახდის ვადების სიმრავლე გარკვეულ სირთულეებს უქმნის გადასახადის გადამხდელს და საგადასახადო ორგანოებს ადმინისტრირების კუთხით. ფიზიკური პირებისათვის და საწარმოებისათვის გადასახადის გადახდის ვადების ოპტიმიზაციის მიზნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ერთი კონკრეტული ვადის დაწესება, კერძოდ ფიზიკური პირებისათვის უძრავ, მოძრავ ქონებასა და მიწაზე დარჩეს 15 ნოემბერი, ხოლო საწარმოებისათვის ქონების გადასახადი, როგორც მიმდინარე გადასახადისთვის დადგინდეს 15 ივნისი.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ცალკეული გადასახადის კონკრეტული მუხლების დებულებებს ეწეურობათ კოდექსით დადგენილი ვადა (იგი ძალაშია 2007 წლის 1 იანვრამდე) ანუ, იმისათვის რათა არ შეიქმნას პობლემები მიზანშეწონილია ვადები გაგრძელდეს 2008 წლის 1 იანვრამდე.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

- გადამხდელისათვის გადასახადის გადახდის ზოგიერთი პროცესის გამარტივება;
- საგადასახადო ადმინისტრაციის ეფექტურობის ამაღლება;
- საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაცია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

1-2(ა)-34. შემოთავაზებულია საბაჟო გადასახადის საგადასახადო კოდექსში ასახვა, საგადასახადო-საბაჟო ვალდებულების განსაზღვრისას გადამხდელს გაუადვილებს ისარგებლოს ერთიანი ნორმატიული აქტით. ამასთან, „საბაჟო ტარიფის შესახებ“ საქართველოს კანონში ამჟამად არსებული დანართის ნაცვლად (550 გვერდამდე), შემოთავაზებულია მისი შემცირება 12 გვერდამდე, რაც გაადვილებს როგორც გადასახადის გადამხდელის მხრიდან, ისე საბაჟოს ადმინისტრაციის მხრიდან ასეთი დოკუმენტის გამოყენებას. აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ 0%-იანი განაკვეთით დასაბეგრი საქონლის ჩამონათვალი საერთოდ ამოღებულია, ერთნაირი განაკვეთით დასაბეგრი საქონლის კოდები გამსხვილებულია და აღმოფხვრილია უზუსტობები კოდებთან მიმართებაში.

2(ბ)-13-36. საგადასახადო კოდექსის ფისკალური დატვირთვის გაზრდის მიზნით უქმდება ფისკალურად ნაკლებად შემოსავლიანი სათამაშო ბიზნესის გადასახადი (10 მლნ. ლარი წელიწადში) და ყალიბდება ადგილობრივი მოსაკრებლის სახით. მოსაკრებლის ოდენობა და ადმინისტრირების მეთოდები შეესაბამება საგადასახადო კოდექსში არსებულ ოდენობებსა და მეთოდებს, მაგრამ შემცირებულია დეკლარირებისა და გადახდის ვადები, კერძოდ საანგარიშო პერიოდი ნაცვლად თვისა, იქნება კვარტალი.

3-6(ბ). მე-12 მუხლის 22-ე, 24-ე და 25-ე ნაწილებში და 57-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვის „სანქციის“ ჩამატებით ზუსტდება ტერმინები: აღიარებული ზედმეტად გადახდილი თანხა, საგადასახადო დავალიანება, აღიარებული საგადასახადო დავალიანება და საგადასახადო ვალდებულება.

4. მე-13 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში შემოთავაზებული ცვლილება ტექნიკური ხასიათისაა და აზუსტებს, რომ ნებისმიერი საქონლის/მომსახურების ერთჯერადი მიწოდება არ ჩაითვალოს სამეწარმეო საქმიანობად.

5. 44-ე მუხლში შემოთავაზებულია, რომ საგადასახადო ორგანოსა და გადასახადის გადამხდელს შორის მიმოწერა (ინფორმაციის გაცვლა, დეკლარირება, შეტყობინება, საგადასახადო მოთხოვნა, გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა, ინკასო და სხვა) შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით. ამასთან, ელექტრონული ფორმით მიმოწერის წესს განსაზღვრავს ფინანსთა მინისტრი.

6(ბ). საგადასახადო კანონმდებლობა საგადასახადო ვალდებულებების თანხობრივად განსაზღვრისას არ ითვალისწინებს ბიუჯეტში გადასახდელი თანხების დამრგვალებას სრულ ლარამდე, რაც გაუმართლებლად ართულებს გადამხდელისათვის და საგადასახადო ორგანოებისათვის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის და მათი შესრულების აღრიცხვას. შესაბამისად, შემოთავაზებულია, რომ საგადასახადო ვალდებულება 1 ლარამდე განულდეს.

7. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე რეორგანიზებული საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს ჩვეულებრივი კრედიტორების წინაშე. ამდენად, ჩვეულებრივი კრედიტორი საგადასახადო ორგანოზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში ვარდება იმის გამო, რომ საგადასახადო ორგანოს უწევს იმის მტკიცება, რომ ამ გამოყოფის მთავარი მიზანი იყო გადასახადებისაგან თავის არიდება. შესაბამისად, შემოტავაზებულია ცვლილება 61-ე მუხლის მე-9 ნაწილში.

8. 80-ე მუხლის პირველ ნაწილს პრაქტიკაში ხშირად სასამართლოები არასწორედ განმარტავენ და თვლიან, რომ „საგადასახადო მოთხოვნის“ გამოცემამდე საგადასახადო კოდექსით დადგენილი პროცედურების გარდა აუცილებლად უნდა იქნეს დაცული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი პროცედურები, რაც არასწორია, ვინაიდან გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისათვის არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არასაგადასახადო კანონმდებლობა.

9. 82-ე მუხლის მე-4 ნაწილში ზუსტდება, რომ გადამხდელის მოთხოვნა სრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საგადასახადო ორგანო დააკმაყოფილებს მას. ამასთან, ვადა დაზუსტდა 71-ე მუხლის შესაბამისად.

10. აღსანიშნავია, რომ 84-ე მუხლში შემოთავაზებული ცვლილებების მიზანია გადასახადების იძულებით ამოღების ბიზნეს პროცესის გამარტივება და სამართლიანი სამართლებრივი ჩარჩოების შექმნა. ერთიანდება დაყადაღებისა და ქონების რეალიზაციის პროცედურა. აქამდე გადამხდელს შესაძლებლობა ჰქონდა

სასამართლოში გაესაჩივრებინა საგადასახადო ორგანოს მოქმედება ყადაღის დადების დროს. ამასთანავე, ქონების რეალიზაციაზე საგადასახადო ორგანო ვალდებული იყო სასამართლოში აღედგინა სარჩელი, რომელიც თეორიულად სამ ინსტანციის განხილვას მოიცავს. მიგვაჩნია, რომ ყადაღა უნდა იყოს რეალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების თანმდევი პროცესი. ამასთან, მე-4 ნაწილის დამატებით შემოთავაზებულია გაკოტრებისას იძულებითი ღონისძიებების შეზღუდვა მიმდინარე ვალდებულებებით.

11(ა). 85-ე მუხლის მე-4 ნაწილში შემოთავაზებული ცვლილებით ხანდაზმულობის ვადა ტოლი იქნება 6 წელს კლიუს მითითებული გარემოებების არსებობისათვის საჭირო პერიოდი. ხანდაზმულობის არსებული რეჟიმი არაეფექტური და ბუნდოვანია.

11(ბ-გ). საგადასახადო გირავნობასთან დაკავშირებით ცალსახად უნდა განისაზღვროს, რომ იგი უქმდება გაკოტრებით გაყიდვის, საგადასახადო ორგანოს მიერ აუქციონით გაყიდვისა და სხვა შემთხვევებში გაყიდვიდან ამონაგები თანხის მთლიანად ბიუჯეტში მიმართვის შემთხვევებში. გირავნობის მიზანია არა მთლიანად უზრუნველყოფილი თანხის ამოღება არამედ დატვირთული ქონებიდან მაქსიმალურად შესაძლებელი თანხის მიღება. შესაბამისად, შემოთავაზებულია, რომ 85-ე მუხლს დაემატოს მე-8, მე-9 და მე-10 ნაწილები.

12-13. შემოთავაზებული 87-ე მუხლის ახალი რედაქციის და 88-ე მუხლში ცვლილებების მიზანია ყადაღაზე და რეალიზაციაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურის გამარტივება. აღარ იქნება საჭირო 30 დღით ადრე შეტყობინების გაგზავნა, გადაწყვეტილება ძირითადად მიიღება ერთი მოქმედებით. 2 მოქმედება საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც ყადაღა ედება არ აღიარებული საგადასახადო დავალიანების პირობებში. სპეციალური ნორმები შემუშავდა სასამართლო პროცესის მაქსიმუმ 2 ინსტანციით და შემჭიდროებულ ვადებში ჩასატარებლად (არაბუნებრივია, როდესაც აღიარებულ დავალიანებაზე ვაძლევთ გადამხდელს შესაძლებლობას ხელახლა იდაოს ჩვეულებრივი 3 ინსტანციის წესით). ამასთან, ქონების აღწერისას აღარ არის საჭირო საბაზრო ღირებულებით შეფასება, რაც ერთ-ერთი ხანგრძლივი პროცედურაა. შემოთავაზებულია, რომ ღირებულების შეფასების წესს დაადგენს საქართველოს მთავრობა. ზუსტდება ყადაღის გაუქმების საფუძველები (გაკოტრებით/აუქციონით გაყიდვა, სახელმწიფო ინტერესები და ა.შ.)

14. საგადასახადო კოდექსის 86-ე და 89-ე მუხლების დებულების შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია 89-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი სიტყვები: „საფინანსო დაწესებულებაში უცხოური სავალუტო ანგარიშის არსებობის შემთხვევაში ეს დაწესებულება ახორციელებს ამ ანგარიშზე არსებული თანხის კონვერტაციას ეროვნულ ვალუტაში“. ამასთან, სერიოზულ პრობლემას ქმნის საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის საგადასახადო ორგანოს მიერ საინკასო დავალების წარდგენის უფლების 10 დღიანი დაყოვნება. მიზანშეწონილია ამ ნაწილში საგადასახადო ორგანოს მოეხსნას ყოველგვარი შეზღუდვა და უფლება მიეცეს საინკასო დავალება ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებებზე გადამხდელის საბანკო ანგარიშებზე წარადგინოს გადახდის ვადის ამოწურვის დღიდანვე. 89-ე მუხლში მე-5 და მე-6 ნაწილების დამატების მიზანია ინკასოს შეჩერების საკითხების დარეგულირება და გადაწყვეტილების მიმღების განსაზღვრა.

15. 95-ე მუხლის მე-8 ნაწილში შემოთავაზებული ცვლილება ტექნიკური ხასიათისაა. ამასთან, მე-9 ნაწილის დამატებით ფიზიკურ პირებს, რომლებიც ეწევიან არასამეწარმეო-ეკონომიკურ საქმიანობას (ბინების გაქირავება, ქონების მართვა მინდობილობით და ა.შ.) და მიღებული ერთობლივი წლიური შემოსავლიდან არ ახორციელებენ გამოქვითვებს, მიეცეთ უფლება არ წარადგინონ საგადასახადო ორგანოებში საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციები. მოცემულ შემთხვევაში მათ მიერ დადგენილ ვადაში ფაქტობრივად გადახდილი წლიური საშემოსავლო გადასახადის თანხა ჩაითვალოს დეკლარირებულ საგადასახადო ვალდებულებად, რომელიც თავის მხრივ გახდება საფუძველი საგადასახადო

ორგანოების მიერ საშემოსავლო გადასახადის დარიცხვისა და საგადასახადო კონტროლის პროცედურების განხორციელებისა.

16. 99-ე მუხლის მე-7 ნაწილში შემოთავაზებულია, რომ მოსამართლის ბრძანების გარეშე აკრძალულია გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის საქმიანობის უკვე შემოწმებული საკითხების (და არა „პერიოდის“) ხელახალი შემოწმება, გარდა იმ საკითხებისა, რომელთა მიხედვით გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ ხდება უკვე შემოწმებული პერიოდის გადასახადებზე შესწორებული საგადასახადო დეკლარაციის ან გაანგარიშების წარმოდგენა. აღნიშნული ნორმა შესაბამისობაშია „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონთან, ამასთანავე თუ გადამხდელს უფლება აქვს შეასაწიროს დეკლარაცია, მაშინ საგადასახადო ორგანოს რატომ არ უნდა ჰქონდეს გადაამოწმოს აღნიშნული საკითხი.

17. გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია 113-ე მუხლის მე-5 პუნქტში სიტყვები „10 დღით ადრე“ შეიცვალოს სიტყვებით „შემოწმების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღისა, ხოლო შემოწმება უნდა დაიწყოს გადამხდელისათვის შეტყობინების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში დასაბუთებული მიზეზების გამო შეუძლებელი ხდება შემოწმების დაწყება, შეტყობინების ბათილად ცნობის თაობაზე ეცნობება გადამხდელს.

19-20-31-33. საგადასახადო კოდექსის მუხლების იმ ნორმების მოქმედებას (168-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, 172-ე მუხლის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები, 237-ე მუხლი, 270-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) რომლისთვისაც დადგენილი ვადა „2007 წლის 1 იანვრამდე“ უგრძელდებათ ვადა „2008 წლის 1 იანვრამდე“.

21. 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში შემოთავაზებული ცვლილება ტექნიკური ხასიათისაა.

22. ძირითადი საშუალებების ლიზინგით გადაცემის ოპერაცია (საშემოსავლო და მოგების გადასახადების მიზნებისათვის) ითვლება „საქონლის მიწოდებად“. შესაბამისად, საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლში არასწორად არის ლიზინგი დაფიქსირებული როგორც მომსახურება.

23. საშემოსავლო გადასახადის ადმინისტრირების პრაქტიკამ აჩვენა, რომ არაეფექტურია იმ გადამხდელისაგან ყოველკვარტალური დეკლარირების სავალდებულო მოთხოვნა, რომლებიც საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტების მიხედვით განთავისუფლებულნი არიან საშემოსავლო გადასახადისაგან. მოცემულ შემთხვევაში სავსებით საკმარისად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კატეგორიის პირები აწარმოებდნენ შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვას ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით. შესაბამისად, შემოთავაზებულია ცვლილებები 217-ე მუხლის მე-2 ნაწილში.

24(ა). საგადასახადო კოდექსის 218-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის არსებული რედაქცია გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების ბიუჯეტში გადარიცხვას ითვალისწინებს თანხის გადახდისთანავე. რაც გარკვეულ სიძნელეებს უქმნის იმ გადამხდელს (აგენტებს), რომლებიც შრომის ანაზღაურებას ან სარგებელს გასცემენ არაფულადი ფორმით (ნატურით). მაგალითად პურის საცხობი საწარმო დაქირავებულს ხელფასის ნაწილს შეიძლება უხდიდეს ყოველდღიურად გარკვეული რაოდენობის პურის გადაცემით (ნატურით). მოცემულ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია აღნიშნულ განაცემზე გადამხდელმა ყოველდღიურად უზრუნველყოს საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშება და ბიუჯეტში გადარიცხვა.

24(ბ). შემოთავაზებულია არსებული ხარვეზის გასწორება და აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სხვა ინფორმაციის პარალელურად, გადამხდელს დაეკისროს ვალდებულება საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია სხვა პირებისათვის გადახდილი დივიდენდებისა და პროცენტების შესახებ.

25. 221-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის არსებული რედაქციით აქციზური საქონლის წარმოებისა და იმპორტის შემთხვევაში პირი აუცილებლად უნდა დადგეს დღგ-ს გადამხდელად. ამასთან, ასეთი ვალდებულება აზრს კარგავს

მსუბუქი ავტომობილების იმპორტისა ან/და მიწოდების შემთხვევაში (მსუბუქი ავტომობილების იმპორტი ან/და მიწოდება განთავისუფლებულია დღგ-გან).

26-27. მოქმედი კანონმდებლობით ნებაყოფლობითი რეგისტრაციის ძალაში შესვლის ვადა ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია მთელ თვესაც მოიცავდეს (თუ ნებაყოფლობით რეგისტრაცია ხდება თვის დასაწყისში, იგი ძალაშია შემდეგი თვის პირველ რიცხვიდან) რაც გადამხდელთა საქმიანობის შეფერხების მიზეზიც ხდება და მათ უკმაყოფილებას იწვევს. ამასთან, დროის ამ პერიოდში მას შესაძლებელია დაუდგეს სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება, რაც დღგ-ის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებებს ითხოვს. შემოთავაზებულია, რომ დღგ-ის გადამხდელად ნებაყოფლობითი რეგისტრაციის ძალაში შესვლის ვადა აირჩიოს უშუალოდ გადამხდელმა, ხოლო სერტიფიკატი მიეცეს მე-2 დღესვე.

28. (228.1.ა) – 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსი 100 ათას ლარს ქვემოთ დასაბეგრი ბრუნვების არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებდა პირის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის სავალდებულო წესით გაუქმებას და გადამხდელთან ნაშთად ღარჩენილი საქონლის დღგ-ით დაბეგვრას. მოცემულ შემთხვევაში პირის საკუთრებაში არსებული საქონლის (რომელიც ჯერ-კიდევ არ იყო რეალიზებული) დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად განხილვის ერთადერთი საფუძველი იყო ის გარემოება, რომ პირი აღარ წარმოადგენდა დღგ-ის გადამხდელს. არსებული რედაქცია ცალსახად არ განსაზღვრავს, რომ პირის დღგ-ის გადამხდელად ხელახალი რეგისტრაციის შემთხვევაში, აღარ არსებობს საქონლის დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად განხილვის ზემოაღნიშნული საფუძველი იმ საქონელთან მიმართებაში, რომელიც ხელახალი რეგისტრაციის მომენტიდან დასრულებულია, რომელიც ჯერ-კიდევ არ არის მიწოდებული. შემოთავაზებულია, რომ იმ საქონელთან მიმართებაში, რომელიც ჯერ-კიდევ არ არის მიწოდებული, ზემოაღნიშნული საფუძველის გაუქმება, იმავდროულად განხილულ იქნას როგორც დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის კორექტირების საფუძველი.

29(ა). 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტში შემოთავაზებული ცვლილება ტექნიკური ხასიათისაა.

29(ბ). არსებული რედაქციით დღგ-გან თავისუფლება მხოლოდ „მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურის ნუსხაში შეტანილი საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და აღდგენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები და არქეოლოგიური გათხრები“. სხვა პირთა მიერ, არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე საერაბილიტაციო სამუშაოების წარმოება მოქცეულია საერთო საგადასახადო რეჟიმში, რაც ნაკლებ სტიმულს აძლევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აწარმოონ აღნიშნული საქმიანობა. შემოთავაზებულია, რომ დღგ-გან განთავისუფლდეს პირების მიერ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებული არქეოლოგიური სამუშაოების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო და კვლევითი სამუშაოების წარმოება. ცვლილებები ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და რეაბილიტაციის სფეროში ფინანსების მოზიდვას, წახალისებს მესაკუთრეებსა და მეცენატებს, შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფო, თვითმმართველობისა და მმართველობის, ასევე დარგში მოქმედ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა პირებს, უფრო ეფექტურად გამოიყენონ მათ ბიუჯეტში არსებული, კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული სახსრები.

29(გ). 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტის თანახმად დღგ-გან განთავისუფლებულია მთელი რიგი საქონლის (საინკუბაციო კვერცხი, სოკოს მიცელიუმი, ღობიოსა და მზესუმზირის თესლი, რბილი ხორბალი და მესლინი სათესლე, ქერის, შვრიის, ბოსტნეული კულტურების და იონჯის თესლი, სპილენძის სულფატი (შაბიამანი) და სპილენძის ნაერთების ფუძეზე დამზადებული პრეპარატები) იმპორტი და მიწოდება საქართველოს ფინანსთა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული კვოტების მიხედვით. ერთობლივი ბრძანებით შემუშავებულია კვოტის გაცემის მექანიზმიც. აღნიშნული

შედავათი გარდა იმისა, რომ იწვევს კონკრეტული მეწარმის გადასახადისაგან გათავისუფლებას, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს სხვა მეწამეებთან მიმართებით, ანუ ქმნის ადგილობრივ წარმოებასთან მიმართებით არაკონკურენტუნარიან გარემოს კიდევ უფრო კლავს ინტერესს საქართველოში მსგავსი წარმოების აღორძინებისათვის. ამასთან, გაძნელებულია ადმინისტრირების მექანიზმი და კონტროლი აღნიშნული საქონელი საკუთარი წამოებისათვის აქვს მეწარმეს შემოტანილი, თუ ბაზარზე გასაყიდად (მაგალითად ლობიო, მხესუმზირა). ამასთან, ყოველწლიურად აღნიშნული ქვეპუნქტის უზრუნველსაყოფად შემუშავებული ერთობლივი ბრძანების პროექტის მიმართ, რომელიც მოიცავს კოდექსით განსაზღვრული კოდის ფარგლებში კონკრეტულ ოდენობის დამტკიცებასაც, სამართლიანი შენიშვნები გააჩნიათ, როგორც საქართველოს იუსტიციის ისე ანტიმონოპოლიურ სამსახურს. კერძოდ, მათი აზრით ერთობლივი ბრძანება ეწინააღმდეგება მეწამეთა თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს და მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს, რომლის შესაბამისად „სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალება: - დააწესოს ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შედავათები, რომლებიც კონკურენტებთან, (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის შეზღუდვას; - აკრძალოს, შეაჩეროს ან სხვაგვარად შეაფერხოს ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობა და დამოუკიდებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“. შესაბამისად, შემოთავაზებულია ასეთი შედავათის გაუქმება.

30. 236-ე მუხლის არსებული რედაქციით, დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით იბეგრება ძირითადი საშუალებების სარემონტო მომსახურება, ხოლო დაკვეთით სხვა საქონლის წარმოება იბეგრება ჩვეულებრივად, ხოლო სხვა შემთხვევაში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმში საქონლის გადამუშავებისას ნედლეულზე გადახდილი დღგ ჩათვლას არ ექვემდებარება. შემოთავაზებულია, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ნებისმიერი საქონლის (მათ შორის, ძირითადი საშუალებების რემონტი) გადამუშავების საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის (გადამუშავების პროდუქტის ან გადამუშავებული საქონლის) საქართველოს ტერიტორიიდან გატანა დაიბეგროს დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით. აღნიშნული ცვლილება საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმსა და ექსპორტის რეჟიმს ერთ დატვირთვას მისცემს, რაც გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს.

32. საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილის არსებული რედაქცია სოციალური გადასახადის ბიუჯეტში გადახდას ითვალისწინებს თანხის გადახდისთანავე. რაც გარკვეულ სიძნელეებს უქმნის იმ გადამხდელებს, რომლებიც შრომის ანაზღაურებას ან სხვა სახის განაცემს გასცემენ არაფულადი ფორმით (ნატურით). მაგალითად პურის საცხობი საწარმო დაქირავებულს ხელფასის ნაწილს შეიძლება უხდიდეს ყოველდღიურად გარკვეული რაოდენობის პურის გადაცემით (ნატურით). მოცემულ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია აღნიშნულ განაცემზე გადამხდელმა ყოველდღიურად უზრუნველყოს კუთვნილი სოციალური გადასახადის გამომანგარიშება და ბიუჯეტში გადარიცხვა.

35. 275-ე მუხლით დგინდება, რომ ფიზიკური პირი უძრავ ქონებაზე, მიწაზე, იახტაზე (კატარდა) თვითმფრინავსა და შეველმფრენებზე და იმ მსუბუქ ავტომობილებზე, რომელიც არ ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო ტექნიკურ დათვალიერების გავლას „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვალდებულია ქონების გადასახადი გადაიხადოს ერთი და იმავე დროს, კონკრეტულად არა უგვიანეს 15 ნოემბრისა. ამასთან, იმ მსუბუქ ავტომობილებზე, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო ტექნიკურ დათვალიერების გავლას ქონების გადასახადი გადაიხდება ამჟამად არსებულის ანალოგიურად, ანუ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის, ხელახალი რეგისტრაციის (თუ სატრანსპორტო საშუალების წინა მესაკუთრეს მიმდინარე კალენდარული წლის გადასახადი არა აქვს გადახდილი) ან ყოველწლიური ტექნიკური დათვალიერების დროს. ხოლო ეკონომიკური საქმიანობაში

გამოყენებულ ქონებაზე ქონების გადამხდელი საწარმოებისათვის მიმდინარე გადასახდელების ნაცვლად ქონების გადასახადის გადახდის ვადად დგინდება ასევე ერთი ვადა არაუგვიანეს 15 ივნისისა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.